ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 214

1 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისშისკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა" ჩატარებისა და შესაბამისგანსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-6 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით, ქალაქ თბილისში 2021 წელს ერთჯერადად ჩატარდეს კონკურსი „პანდემია, როგორც შესაძლებლობა", რომლის მიზანია ქალაქ თბილისის სკოლის მოსწავლეებმა ვიდეორგოლების მეშვეობით ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, გააანალიზონ კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური რისკი, საკუთარი და საზოგადოების როლი პანდემიის მართვასა და მის პრევენციაში. კონკურსი მონაწილეებს საშუალებას მისცემს საკუთარ თავში აღმოაჩინონ/გამოავლინონ ახალი ნიჭი, შესაძლებლობები და ინტერესები, დაეუფლონ განსხვავებულ ცოდნას, საკუთარი ძალისხმევა მიმართონ თავიანთი და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობისაკენ. კონკურსი ჩატარდეს შემდეგი წესით და პირობებით:

ა) კონკურსის ჩატარების, ნამუშევრების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით შეიქმნას ჟიური, სადაც მიწვეულ იქნებიან დარგის კომპეტენტური წარმომადგენლები. ჟიურის შემადგენლობა განისაზღვროს 5 (ხუთი) წევრის ოდენობით. ჟიურის უფლებამოსილება შეუწყდება კონკურსის დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ;

ბ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისისა წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ჟიურის წევრობის კანდიდატები

არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ივნისამდე დამტკიცების მიზნით; ჟიურის საქმიანობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ბ.ა) კონკურისის ჟიურის მუშაობას ხელმძღვანელობს ჟიურის თავმჯდომარე, რომელსაც ჟიურის პირველივე სხდომაზე ირჩევენ ჟიურის წევრები ხმათა უბრალო უმრავლესობით. ჟიურის თავმჯდომარეს და ჟიურის წევრებს აქვთ ერთი ხმის უფლება;

ბ.ბ) ჟიურის წევრები ინდივიდუალურად ეცნობიან, არჩევენ, აფასებენ და გამოავლენენ კონკურსის კატეგორიებში წარმოდგენილ ნამუშევრებს. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას ჟიური ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ბ.ბ.ა) პოზიტიური ხედვა;

ბ.ბ.ბ)შემოქმედებითი მიდგომა;

ბ.ბ.გ) სცენარი და შინაარსი;

ბ.ბ.დ) ფასეულობითი სარგებელი;

ბ.გ) ჟიურის თითოეული წევრი ვალდებულია, კეთილსინდისიერად მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად, მიანიჭოს უპირატესობა საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევარს. ჟიურის წევრი, ასევე, ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ოფიციალურ გამოცხადებამდე არ გაახმაუროს კონკურსის შედეგები;

ბ.დ) ჟიური უფლებამოსილია გამოავლინოს I, II და III ადგილებზე გასული თითო გამარჯვებული; ჟიურის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით; ჟიურის სხდომები გაფორმდეს ოქმით, რომელშიც მითითებული იქნება ჟიურის შეკრების ადგილი, თარიღი, დამსწრეთა რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი. ოქმს ხელს აწერს ჟიურის ყველა დამსწრე წევრი. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება;

ბ.ე) ჟიური ვალდებულია არაუგვიანეს2021 წლის 30 ივნისისა დაასრულოს I, II და III ადგილზე გასული თითო გამარჯვებულის გამოვლენა;

ბ.ვ) ჟიურის წევრები უსასყიდლოდ მიიღებენ მონაწილეობას ნამუშევრების გადარჩევასა და გამარჯვებულთა გამოვლენაში.

გ) კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხები დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს; კონკურსის ჩატარების პროცესს კოორდინაცია გაუწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომების მიღება და გადაცემა კონკურსის ჟიურისთვის; გაუწიოს კოორდინაცია ჟიურის მუშაობას და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საორგანიზაციო საქმიანობას; გაუწიოს ორგანიზება კონკურსის

დაჯილდოების ღონისძიებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატთან ერთად;

დ) განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს ფუნქციები კონკურსის ორგანიზებასთან მიმართებით განისაზღვროს:

დ.ა) კონკურსის ჩატარებისთვის მოსამზადებელი ეტაპების უზრუნველყოფა;

დ.ბ) შერჩევითი ეტაპის შედეგად კონკურსის მონაწილეთა საკონკურსო ნამუშევრების მიღება;

დ.გ) ჟიურის წევრებისთვის მიღებული ნამუშევრების გადაცემა, ჟიურის სხდომების ორგანიზება;

დ.დ) კონკურსის მსვლელობის თაობაზე მონაწილეთა და საზოგადოებისთვის სისტემატიურად ინფორმაციის მიწოდება.

ე) კონკურსის თემატიკა და მონაწილეობის პირობები:

ე.ა) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა სკოლის მიერ შეივსოს ელექტრონული განაცხადი და საკონკურსო ნაწარმოები წარდგენილ იქნეს ელექტრონული სახით ელ-ფოსტაზე ectbilisi@gmail.com; სააპლიკაციო ფორმა განთავსდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge;

ე.ბ) კონკურსის მონაწილე შეიძლება გახდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლის გუნდი, არაუმეტეს 4-5 მონაწილისა. საკონკურსო განაცხადის სახით სკოლას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ვიდეორგოლი. კონკურსში მიიღება და განიხილება კოვიდ-19 პანდემიასთან თემატურად დაკავშირებული ვიდეორგოლი, რომელსაც შექმნიან მონაწილე გუნდები კონკურსში მონაწილეობისთვის;

ე.გ) კონკურსის თემატიკად განსაზღვრულია „პანდემია და მოქალაქის როლი"; წარმოდგენილი ვიდეოების შინაარსში უნდა წარმოჩინდეს მოსწავლეთა თვალით დანახული შემდეგი საკითხები:

ე.გ.ა) საქართველოგლობალურისამყაროსნაწილი;

ე.გ.ბ) მოზარდებისთვითგანვითარება;

ე.გ.გ) თვითრეალიზაცია;

ე.გ.დ) პასუხისმგებლიანი, გლობალურიმოქალაქე;

ე.გ.ე) სოლიდარობა, სოციალური ქცევა, ტექნოლოგიები.

ვ)კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები:

ვ.ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება - 2021 წლის 1 ივნისი;

ვ.ბ) II ეტაპი - განცხადების შევსებისა და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა - 2021 წლის 2 ივნისიდან 2021 წლის 20 ივნისის 24 საათის ჩათვლით;

ვ.გ) III ეტაპი - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა, შეფასებისკრიტერიუმების მიხედვით I, II და III ადგილებზე გასულ გამარჯვებულთა გამოვლენა - 2021 წლის 21 ივნისიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

ვ.დ) IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება.

ზ) აგრეთვე, გამოვლინდეს გამარჯვებული ვიდეო-რგოლი ნომინაციაში „ხალხის რჩეული“. „ხალხის რჩეული“ გახდება ვიდეორგოლი, რომელიც 21-30 ივნისის პერიოდში, კონკურსის სოციალური ქსელის (ფეისბუკი) გვერდზე ყველაზე მეტ მოწონებას მიიღებს;

თ) გამარჯვებულებს გადაეცეს პრიზი კონკურსის მხარდამჭერების მიერ;

ი) გამარჯვებული ნამუშევრების დაჯილდოება მოხდება არაუგვიანეს 2021 წლის ივლისის თვის ბოლო რიცხვისა;

2. განკარგულება ძალაშია 2021 წლის პირველი ივნისიდან.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**